№ 87

კვირა, 21 აპრილი 1896

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

ივერია

№ 87

კვირა, 21 აპრილი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნ. ეკატერინე სვიმონის ასული რატიშვილისა, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, ნიკოლოზ და **ვლადიმირ ალექსანდრეს ძენი რატიშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნაცნობთა და ნათესავთა გარდაცვალებას პირველი ძისა, ხოლო დანარჩენნი ძმისა თვისისა

ევგენი (გეგე) ალექსანდრეს ძის რატიშვილისას

(პირველის გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე), უმორჩილესადა სთხოვენ სცენ პატივი და დაესწრონ გიმნაზიიდამ გამოსვენებას დღეს, 21 აპრილს, დილის შვიდს საათზე, საიდამაც განსვენებულის გვამს წაასვენებენ რკინის გზის სადგურზე და იქიდამ—სოფელს ქსოვრისს ღვთის მშობლის ეკლესიაში დასაკრძალავად.

(1—53—1)

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ (სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის შენობაში, და **კნ. ოლღა თადეოზის ასულს** ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი. № 21).

«ივერიის» რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

კაბინეტი კბილის ექიმთა
პ. ი. ჟიჟინაძისა და **ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე **აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

წლიური კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა დანიშნულია 4 მაისს ამ წლისა, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველნი არიან:

1 ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდან 1894 წ. 1 იანვრამდე 1896 წ.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1896 წლისათვის.

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(3—3).

შემოწირულება

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარიაალეგრისათვის შემოსწირეს:

ნადეჟდა ის ასულმა ხატიევისამ: მშვენივრად ნაკერი ორი ბალიში,—ამათში ერთი ხავერდისა აბრეშუმის ძაფით, წმინდა სანთლისაგან ხელოვნურად გაკეთებული კალათა, სურათის ჩასასმელი ჩარჩო, ლამფის დასადგმელი, კნ. ელისაბედ ესტ. ასულმა მუხრან-ბატონისამ—ნოტების ჩასაწყობი პორტფელი და თმის ქინძისთავი ვერცხლისა.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ სპარსეთის შაჰი მოუკლავთო. გუშინდელს ,,კავკაზის'' ნომერში დასტამბულია შემდეგი დეპეშა თეირანიდამ: ,,დღეს, 19 აპრილს, შუადღეზედ სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი წავიდა ქალაქს გარედ სპარსეთის წმინდანის აბდულ აზიმის საფლავზედ. შაჰი მოკლეს თვით სასაფლაოს გალავანში რევოლვერით. ბოროტ-მოქმედი ბაბისტია (ერთგვარი მწვალებელია სპარსეთში). მკვლელი დაატუსაღეს. შაჰად აღიარებულ იქმნა ვალი-ად მუზაფარ-ედინი, რომელიც 1858-დამ აღიარებულია რუსეთისა და ინგლისის მთავრობათაგან ტახტის მემკვიდრედ. ახალი შაჰი ამ ჟამად იმყოფება თავრიზში, სადაც გენერალ-გუბერნატორად არის განწესებული. თეირანში დროებითი მმართველობის გამგედ მთავარ ვეზირი სადრ-აზამია. სპარსელებს იმედი აქვთ, რომ რუსეთი შემწეობას აღმოუჩენს, რათა დაცულ იქმნეს კანონიერი ტახტის მემკვიდრეობა და მშვიდობიანობა ქვეყნისა ყოველნაირ ინტრიგებისაგან.

⁂ როგორც შევიტყეთ, კავკასიის რკინის გზის უფროსი, ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი სხვა ადგილზე თურმე გადაჰყავთ.

⁂ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი ქუთაისიდამ პეტერბურგს წავიდა. მისს თანამდებობას, რაც ხანი იგი პეტერბურგს იქნება, აასრულებს თანაშემწე მისი, ინჟენერი შაიკევიჩი.

⁂ როგორც გაზ. ,,ნოვ. ობ.'' სწერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი კ. პ. იანოვსკი ჩრდილო კავკასიიდამ სოხუმსა და ბათუმში შეივლის, რომ იქ არსებული სასწავლებლები დაათვალიეროს. ტფილისში 25 აპრილს ჩამოვაო.

⁂ როგორც გაუგონია ამავე გაზეთს, რომ მოსალოდნელი უბედურება თავიდამ ააცდინოს მდ. ლიახვის პირად მცხოვრებთ, საგუბერნიო ადმინისტრაციას განზრახვა აქვს თურმე ეხლავე მიიღოს საჭირო საშუალებანი და 2 ათასი მანეთი კრედიტი გამოითხოვოს მდინარის ნაპირეპის გასამაგრებლად.

⁂ ბაქოს გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში მინდვრის თაგვი გაჩენილაო, სწერს იგივე გაზეთი.

⁂ ახალ-სენაკი: აქაურმა მეყასბეებმა სწორედ საქმე გაგვიჭირვეს. ისეთს საკლავსა ჰკლავენ, რომ ადამიანს-კი არა, ოთხფეხსაც არ ეჭმევა. სასურველია, ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას თვისი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

⁂ სოფ. ხორში (სამეგრელო): ზამთარმა რაც გვიყო ის დიდის ხნის მოსაგონებელი იქნება აქაურებისათვის, მაგრამ ბალა ეს არის, რომ სახნავ-სათესი ადგილები, რომელიც მთელი სოფლის მარჩენელი იყო, ადგილ-ადგილ გასკდა და მიწა აღმართ-დაღმართად იქცა. მაზე ჭირნახულის დათესვას ხალხი უფრთხის, რადგან ეშინიანთ ვაი თუ რაიმე უბედურება მოხდესო—ბევრს აქეთკენ სარჩო შემოელია და ხალხი წარამარად დახეტიალებს ლუკმის საშოვნელად...

უბედურება ეს არის, რომ აპრილიც გაგვიწყრა. ჯერ ისევ ხელ-დაკ-

ფელეტონი

მასლაათი

სალიტერატურო მიმოხილვის გამო „მოამბე“ № 3.

> „საშიკოდ, სალაღობოდ,
> ამხანაგთა სართეველად“.
> რუსთაველი.

გეცოდინებათ ჩემი და გრ. ყიფშიძის საპოლემიკო დავი-დარაბა. თუმცა ჯერ ეს დავი-დარაბა არ გათავებულა, მაგრამ მოკამათე დიდად გახარებულია და ახლავე გამარჯვებას დღესასწაულობს: ისეთი მოგვერდი ვკარ და კისრული ვუგდე, რომ საბრალო პლებსი „თავ-პირ დალეწილი, ძირს გართხმული“ მიწაზედ გაშოტილი კოტრიალობსო! აი ყოჩაღ, ფალავნობა სწორედ ეგეთი უნდა! ჰო და, ასეთმა ზორბამ და ახოვანმა, როგორიც გრ. ყიფშიძეა, ჩემისთანა ლაწირაკი და სუსტი თავისს უშველებელ მხარ-ბეჭზედ რომ მოიკიდოს და, რაც ძალა და ღონე აქვს, ზურგით მიწას გააკრას, ხუმრობა საქმე ხომ არ არის: თავ-პირს დაალეწავს, მაშ რა ჯანაბას უზამს! სრულიადაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ გრ. ყიფშიძე ასე შეუბრალებლად მომექცეოდა. კიდევ კარგი, რომ კისერი არ მომტეხა, როცა ისეთის სიმაღლიდამ ძირს გამანთხია. მერე უნდა იცოდეთ, თუ რა დიდი სიმაღლეა მიწიდამ გრ. ყიფშიძის თხემამდე!? მაგრამ, ღვთის წინაშე, გვერდები ახლაც მტკივა და კუჭი ხომ სამუდამოდ მომეშალა... „ქედ-მოხრილი და ზვიადობა-შემუსვრილი“ საცოდავად დახოხავს მიწაზედ და ახლა ჩემის ქების მეტს არაფერს გაიძახისო... ნეტავი ამ ქების შემდეგ მაინც ფეხით აღარ გამსრისოს ბეჩავი და უბადრუკი!..

სასაცილოა, რასაკვირველია, გრიგოლის ასეთი ბავშური ბაქიაობა, მაგრამ დიდად სამწუხაროც-კია, რომ გრ. ყიფშიძეს და მის მსგავსებს აქამომდე ვერ შეუგნიათ, თუ რა არის პოლემიკა და რა მნიშვნელობა და აზრი აქვს ამ მწერლობის დარგსა. აგერ თურმე თვრამეტი წელიწადია, რაც ,,მოამბის'' პოლემისტი ლიტერატურას ემსახურება და ახლაც პოლემიკა და ჩვენებური ქიდაობა ერთი და იგივე ჰგონია! ამის შემდეგ მოდი და დაიჯერე გრიგოლი, რომ მისი პიროვნება და ვინაობა არავის ეპრიანება, იმის შემუსვრა და განადგურება არავისთვის საჭირო არ არის და მხოლოდ იმის ტყუილ აზრსა და იდეას სდევნიან და ჭენტავენ!... კიდეც ამიტომ თურმე სჩიოდა და წუწუნებდა—პირადად ჩემი აღგვა და გაქრობა უნდაო. მაგრამ რად, როცა, ჰეინეს თქმისა არ იყვეს, თვით მწერსაც-კი უფლება აქვს, რომ არხეინად ქვეყანაზედ იცხოვროს, რადგანაც ისიც ღვთის ქმნილებაა!.. თურმე აქ საპოლემიკო მოძღვრების უცოდინრობა ყოფილა და მე-კი ეს არ ვიცოდი.

დიახ, „მოამბის“ სალიტერატურო ფალავანს პოლემიკა საჭიდაო ვარჯიშობად მიაჩნია, აზრთა ბრძოლა პიროვნების შელახვად წარმოუდგენია და, რადგანაც ავლაბრულ კილოთი მაგრად შემამკო, თანაც უხარია—პლებსს თავ-პირი დავალეწე და მიწაზედ გავანთხიეო... მაგრამ ღმერთმა ასეთი სიხარული თქვენს მტერსაც-კი აშოროს. ვინც „მოამბის“ უკანასკნელ ნომერს გადაათვალიერებს, ცხადად შენიშნავს, რომ ჩემს სალაღობო ჩოგანს, სიხარულის მაგიერ, დიდი ვაება აუტეხია ჟურნალის სადგურში. ჯერ ერთი ისა, რომ „მოამბის“ შინაური მიმომხილველი აბარგულა და აღდგომის ყვავივით სადღაც გარდახვეწილა. მეორედ კიდევ, „უცხოეთის“ წყალწყალა მოსაუბრეს, „მასალის“ სახით, გარშემო, თითქო თოფ-იარაღიაო, წიგნები შემოუწყვია და იხვეწება—მე თავი დამანებეთ, ხომ ჰხედავთ, რომ საგანი შემისწავლია და ისრე ვწერო... ხოლო მესამეს, გრ. ყიფშიძეს «ათეული» ხომ სრულიად მიუტოვებია და საქმე ისე გაჭირებია, რომ მარტო წვრილმანს ქამანდებსა და მაჩი-მალაყებს აჰყოლია. კრულ და წყეულ რიცხვად გარდაიქცა გრიგოლისათვის იგი ათეული და, ეჭვი არ არის, რომ ამიერიდგან ,,ათი'' ისეთივე სახიფათო და საფათერაკო შეიქმნება მისთვის, როგორც ,,ცამეტი'' სხვებისათვის!.. დიახ, ამის მიზეზი სალაღობო ჩოგანია. საშინელებაა, როცა ხელ-მარჯვედ სცემენ ამ ჩოგანსა. მე, რასაკვირველია, ჯერ გამოუცდელი ვარ ამ ხელობაში, მაგრამ ვიცი-კი, რომ სალაღობო ჩოგანი ყველა იარაღზედ უფრო მარჯვე და მჭრელია. ერთი მწერალი ტყუილადკი არ ამბობს, სახელოვან სალაღობო უსტაბაშის შესახებ, რომ ჩოგანის ქნევით ელეტდა ყოველგვარ ნადირსაო,—

„И эпиграммою поражалъ
То тупоумнаго зоила,
То убивалъ ею пошляка“-ო.

ასეთია ბუნება და თვისება სალაღობო ჩოგანისა! მაშ, რა საკვირველია, რომ გრ. ყიფშიძეც გველივით იხლაკნებოდა, იკლაკნებოდა, როცა ჩოგანს ტყაპა-ტყუპი გაჰქონდა იმის „სალიტერატურო ზრდაზედ“...

—

მაგრამ გრიგოლი თავისას არ იშლის. ახლა-კი მთლად ლობე-ყორეს ედება და მიზეზს ეძებს იმისას, თუ

რებილნი შევყურებთ ცას; წვიმები თავს არ გვანებებენ, ყანებისათვის ჯერ ხელი არ გვიხლია...

—

დროებითის კომიტეტის **თავმჯდომარის თანაშემწე კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული შარვაშიძისა** გთხოვს დავბეჭდოთ სია იმ კერძო პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც ქუთაისის გუბერნიაში და გორის მაზრაში, ტფ. გუბ., დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსწირეს.

6 აპრილისთვის შემოვიდა:

1) მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისაგან 250 მან.; 2) მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისაგაგან 250 მან.; 3) ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისაგან 500 მან., 4) საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან 200 მან., 5) აზოვის-დონის საკომერციო ბანკისაგან 100 მან., 6) კნ. ეკატირინე მიხ. ერისთავისაგან 25 მან., 7) ექიმის ავთანდილოვისაგან 10 მან., 8) წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ საზოგადოებისაგან 9 მან., 9) ქ-ნის ა. ყანჩელისაგან, განჯაში შეკრებილი 84 მან., 10) იოსებ ივ. ყორღანოვისაგან 30 მან., 11) კნ. რუს. დიმტ. მელიქიშვილისაგან 10 მან., 12) სხვა-და-სხვა პირებისაგან „ივერიის“ რედაქციიდამ 68 მან., 13) უცნობისაგან 25 მან.; 14) მარიამ მიხეილის ასულის ბერეისისაგან 5 მან.; 15) სოფიო მიხეილის ასულის თამამშევისაგან 5 მან.; 16) თ. ზაქარია გიორგ. ანდრონიკაშვილისაგან 5 მან.; 17) თავ. ნიკ. რევაზ. ერისთავისაგან 10 მან.; 18) კნ. ბარბ. მაკარ. თარხნიშვილისაგან 3 მან.; 19) კნ. თამარ დიმტ. კილციშევისაგან 3 მან.; 20) კოსტ. ნიკ. რეიტერისაგან 5 მან.; 21) კნიაჟ. ეკატ. მიხ. სუმბათაშვილისაგან 3 მან.; 22) პეტრე იოსებ. ყიფიანისაგან 5 მ.; 23) ელენე ლუარ. მოისოგოლოვისაგან 2 მან.; 24) №№-საგან 20 კ.; 25) მიხ. სერგ. შახპარონიანცისაგან 15 მ.; 26) ნატალია ივ. შახპარონიანცისაგან 15 მ. და სულ 1637 მან. 20 კ.

და სულ 8 მარტიდამ 12 აპრილამდე შემოვიდა 6,554 მან. 18 კ.

◆

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

20 აპრილი.

სხდომა გაიხსნა 12 საათზედ.

თავმჯდ. ზედამხედველის კომიტეტისა უგ. თ. ბ. ა. გრუზინსკი. რადგანაც დღევანდელს კრებას დაესწრო კანონიერი რიცხვი წევრთა (205 დამფუძნებელი და 35 მსესხებელი), ამისათვის, თანახმად 82 § წესდებისა კრება კანონიერია და სხდომა იწყება. გთხოვთ დაასახელოთ თავმჯდომარე კრებისა.

თ. ნ. ორბელიანი. ვინც იმას იფიქრებს, რომ მე მინდა სიტყვა ვსთქვა იმისათვის, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს ამა, თუ იმა თავმჯდომარის შესახებ—შემცდარია! მე მხოლოდ მინდა სიფრთხილეს არ ავუქციოთ გვერდი, რომ რაიმე შეცდომა, ანუ უხერხულობა არ მოგვივიდეს. მე მინდა შევუდგე იმ კითხვის განმარტებას, თუ ვისა აქვს ნება იყოს თავმჯდომარედ საზოგადოებისა. აქამდის მიღებული იყო თავმჯდომარედ არჩევა, ან ზედამხედველის კომიტეტის წევრისა, ანუ ბანკის სხვა მოხელისა. ჩვენ წინა წლებში ვამბობდით, რომ ეს უკანონოა და მოუხერხებელი, მაგრამ არ გვიჯერებდნენ ხოლმე. დღეს სამინისტროდამ მოსულმა ქაღალდმა, რომელმაც ბევრი უკანონო და წესდების დამარღვეველი მოქმედებანი უჩვენა გამგეობას, რაზედაც ჩვენ მერე მოვილაპარაკებთ, დაამტკიცა ჩვენის აზრის სიმართლე...

თავმჯ. თქვენ ამბობთ, რომ მაგ საგნის უკანონობა სამინისტრომ გვაჩვენა მის მიერ გამოგზავნილს ქაღალდში?

თ. ორბელიანი. არა, ეს ხსენებულს ქაღალდში კი არ არის ნათქვამი, არამედ სამინისტროს მიერ რწმუნებულის რევიზორის მოხსენებაშია. თუ შარშან რევიზორის სიტყვები ტაშის ცემით მივიღეთ, რატომ ეხლა, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს მოსაწონი? მაგრამ ეს დავთმოთ... ნუ თუ მართლა ისე გავღატაკდით, რომ აქ, ჩვენ შორის არ მოიძებნება კაცი, რომელსაც კრების და მისის საქმეების წინ წაძღოლა შეეძლოს? მე ვამტკიცებ, რომ აქ, ჩვენ შორის, არა ერთი დი ორია ასეთი. მე ჩემის მხრით ვასახელებ თ. ივ. სულხანის ძე ჭავჭავაძეს, გრ. მაღალაშვილს, რაფაელ ყაზბეგს, ექიმს გაბაშვილს. (ხმა: ვითხოვთ უკენჭოდ თ. ჭავჭავაძეს).

თავმჯდ. ეს კითხვა—აქვს თუ არა წევრს ზედამხედველის კომიტეტისას ნება არჩეულ იქმნას თავმჯდომარედ კრებისა, ყოველ წლივ სადავოდ გარდაიქცა. ჩვენს წესდებაში არავითარი გამორკვეული ღონისძიება ნაჩვენები არ არის, რომლითაც ჩვენ შეგვეძლოს ვიხელმძღვანელოთ და უარვყოთ უფლება ზედამხედველის კომიტეტის წევრისა, რომ იგი კრების თავმჯდომარედ არჩეულ არ იქმნას. სამინისტროს ქაღალდში, რომელიც ბანკმა მიიღო და რომელიც ახსენა თ. ორბელიანმა, ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ამისათვის სანამდის წესდება არ შეიცვლება, მანამდის არავითარი უფლება და საფუძველი არა მაქვს უარ-ვყო კანდიდატურა ზედამხედველ კომიტეტის რომელისამე წევრისა, თუ კრება მას დაასახელებს.

დ. ივ. მუსხელაშვილი. მე უნდა ვსთქვა, რომ აზრი იმ პირისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით იყო აქ გამოგზავნილი სარევიზიოდ, ღირსია ყურადღებისა; და რომ ესეც ასე არ იყოს, უბრალო მორიდება უნდა აიძულებდეს მოსამსახურე პირს არ აიღოს თავისს თავზე ესეთი მოვალეობა. ამ მხრით მაინც რევიზორის აზრი სავალდებულოა, მით უმეტეს, რომ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ზედამხედველის კომიტეტის და გამგეობის მოქმედებანი და მათ შორის ვისიმე ამორჩევა კრების თავმჯდომარედ შეგვიკრავს ხელებს, რადგან არიან ისეთი საგნები, ზემოხსენებულ დაწესებულებათა მოქმედების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ განსამართლებასთან, ანუ კრებისა, ანუ სამსჯავროისა.

თ. დ. ავალიშვილი. როცა რომელიმე საგანი აღიძრება, მაშინ ის საგანი ყოველის მხრით უნდა გასინჯო და გაზომო. ამ შემთხვევაში აღძრული საგანი ორის მხრით უნდა იყოს გასინჯული: იურიდიულისა და საქმის შესაფერობის მხრით. მე ამ უკანასკნელის მხრით ვეხები. თ. ორბელიანი შეეხო ამ საგანს იურიდიულის მხრით და მე არ ველოდი მისაგან, როგორც იურისტისაგან, რომ იგი ასე განსჯიდა და მოსამსახურის პირის კრების თავმჯდომარედ არჩევას უკანონოდ ჩასთვლიდა... წესდების მხრით, რომელიც ამგვარს არჩევას სრულიად არ გვიკრძალავს, ყოველი ამგვარი არჩევანები იყო და არის კანონიერი... სამინისტრომ რევიზორის პირით ასე სთქვაო. არა!

რევიზორი იყო მხოლოდ სამინისტროსაგან დავალებული—მოეხსენებია ამ უკანასკნელისათვის ჩვენის ბანკის საქმეების ვითარება და როდესაც მან ეს მონდობილობა აღასრულა, მოახსენა,—მისი მოვალეობაც დასრულდა. მინისტრს-კი ამ მოხსენების შემდეგ რომ რაიმე ეთქვა, მოეცა ჩვენთვის სახელმძღვანელო—ეს იქნებოდა ჩვენთვის სავალდებულო და ის გარემოება, რომ რევიზორმა ესა, თუ ის აზრი წარმოსთქვა, ჩვენთვის არ არის სავალდებულო, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ სამინისტროს ქაღალდში ხმაც არ არის დაძრული. მინისტრმა, რაზედაც დასთანხმებია რევიზორს, იმის შესახებ კიდეც გამოსთქვა ესა, თუ ის შენიშნა და რომელზედაც არა სთქვარა, ჰგავს რომ იმაზე არც დასთანხმებია. ეს არის ლოღიკა.

ნ. ორბელიანი. თ. ავალიშვილმა მისაყვედურა და ჩემი აზრი შემკდარათ ჩასთვალა; არც მისი აზრი და არც ჩემი ჯერ წესდებაში არ არის მოთავსებული; რევიზორის აზრი-კი შეიძლება მოთავსდეს წესდებაში და იმან-კი ამგვარი არჩევანები მოუხერხებლად სცნო. კანონში არ არის ნათქვამიო, მაგრამ იქ ის ხომ არის ნათქვამი, რომ თითოეული ვალდებულია ექვემდებაროს ზნეობისა და მორიდების კანონს. ბ. მუსხელაშვილმა სთქვა უკვე, რისათვის კიდევ არ უნდა იქმნას არჩეულ მოსამსახურე პირი თავმჯდომარედ კრებისა. მე კარგად მესმის და ვიცი, თ. ავალიშვილი რად ამბობს, რომ რევიზორის აზრი და მისი მოხსენება ჩვენთვის სავალდებულო არ არისო.

ექ. გაბაშვილი. ჩვენ ტყუილად ვკარგავთ დროს; ჩვენ უნდა აღვირჩიოთ თავმჯდომარე. მე უკვე წინად გამოვსთქვი მოუხერხებლობა მოსამსახურე პირის კრების თავმჯდომარედ არჩევისა; ეხლა აღარას ვიტყვი—მივანდოთ ამის გარდაწყვეტა თვით კრებას—კანონიერია ეს, თუ უკანონო.

თავმჯდ. არ არის კანონიერი თქვენი წინადადება, რადგან მაგ საგნის გარდაწყვეტა თქვენ არ შეგეხებათ; თუ ვინმე მოსამსახურე პირმა ყუთი დაიდგა და ამორჩეულ იქმნება თუ არა.—ეს იქნება კრების მხრივ პასუხის გება თქვენს კითხვაზე.

თ. ნ. ორბელიანი. მაშ, თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენ კისრულობთ თქვენს თავზე ამ შემთხვევაში პასუხის გებას?

თავმჯდომარე. მე არ მესმის, რა პასუხის გებას?

თ. ორბელიანი. რომ მოსამსახურე პირის ამორჩევა კრების თავმჯდომარედ კანონიერია.

თავმჯდომარე. დიაღ, თუ იქმნა დასახელებელი, მე ყუთს დავუდგავ.

თ. ნ. ორბელიანი. მაშ რაღას ვლაპარაკობთ?

თავმჯდომარე. მეც მიკვირს და ვერ გამიგია, რას ლაპარაკობთ.

(შემდეგ ხმაურობაა; ყვირიან: თ. ივ. ჭავჭავაძე!)

თავმჯდომარე. მე ვერა ვხედავ აქ თ. ჭავჭავაძეს; დაასახელეთ ისეთი, ვინც აქ არის.

(ხმა: უკენჭოდ ჭავჭავაძე, უკენჭოდ!)

თავმჯდომარე. დაასახელეთ სხვა ვინმე, ჭავჭავაძე აქ არ არის, გიმეორებთ.

შახაზიზოვი. თუ ასახელებენ თ. ჭავჭავაძეს, უთუოდ მონდობილობაც აქვთ.

თავმჯდომარე. ეს იქნება თქვენთვის არის უთუოდ და არა ჩვენთვის (ცოტა სიჩუმის შემდეგ). ბბ. ასე უნდა ვიჯდეთ, არავის დაასახელებთ? მაშ სხდომას დავხურავ.

თ. კლ. კაჩნაძე. მოგვეცით ნება მოვაძებნინოთ თ. ჭავჭავაძე; ნახევარი საათი ვადა მოგვეცით. (თავ-

---

რად „სოცარის მძვინვარებით გამსჭვალული თავს დავესხი“. სხვა ასეთს მიზეზს საკუთარის ქმნილების უსუსურებაში და სხვის სალაღობო ფელეტონის თვისებაში მოსძებნიდა, მაგრამ გრიგოლი ოინსა და ხრიკს ხმარობს,—იქნება, თუ ღონემა და ძალამ მიმტყუვნა, ხერხი მაინც გამომადგესო!.. პლებსს ჩემი მტრობა და პირადობა აქვს და იმისთვის თავს დამესხაო... ჰმ, გრიგოლ ყიფშიძე... მისი მტრობა... აბა ვინ არ დაიჯერებს, რომ პლებსს, კალმის გარდა, სხვა არავითარიმე საშუალება აღარ მოეპოვება გრიგოლს გაუსწორდეს, თუ-კი იგი მის წინაშე დანაშაულს ჩაიდენს!.. დიაღ, პირადობა აქვსო და იმიტომ გამოილაშქრაო... ამის ძახილი და ხელზედ დახვევა ხომ ცხადად ამტკიცებს გონების სინაილაჯეს, ზნეობის სილაყეს. მართლაც და, ვინ არ იცის, რომ პირადობისა და კერძო ურთიერთობის სფერა სხვა არის და ლიტერატურას არ შეეხება. თუნდა ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ სალიტერატურო ზრდაზედ გავილაშქრეთ და არა იმის ავტორის პიროვნებაზედ. მაშ რა შუაშია აქ პირადობა? ჩვენს ლიტერატურაშიაც ხშირად მომხდარა მკაცრი საპოლემიკო ბრძოლა. სალიტერატურო შოლტის ლაწა-ლუწი არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა, ბევრი უწყალოდ გაცოცხილა, ულმობელად გაწკეპლილა. ხშირად ერთი რედაქცია მეორეს შექიშპებია, ერთი დასი მეორეს შეკამათებია და ამ ქიშპობისა და კამათობის დროს ბრძოლის კორიანტელი დატრიალებულა. მაგრამ დამისახელეთ ერთი მაგალითი, რომ შეგნებულსა და მართებულს ლიტერატორს თავისს მოწინააღმდეგისათვის პირადობა წაეძახოს. და ეს იმიტომ, რომ ასეთი წაძახება სალიტერატურო ზნე-ჩვეულების შელახვა და შეურაცხყოფაა. გრიგოლ ყიფშიძემ ეს საანბანო ჭეშმარიტებაც არ იცის და სალიტერატურო ზრდასა და მიმოხილვას-კი ხელსა ჰკიდებს! იმ ზრდასა და მიმოხილვაში ორი ახალგაზდა პოეტი ცამდე აჰყავს, გენიოსებათ სთვლის,—იმათი ბადალი ცოცხლებში არვინ არისო. მაგრამ რას იტყოდა ავტორი, რომ ჩვენ გრ. ყიფშიძისა და იმ ორის პოეტის მეგობრობა ამ ქებათა-ქების საბუთად და მიზეზად დაგვესახელებინა. განა რომ ესეთი საქციელი უკადრისი და უპატიოსნო იქნებოდა!? მაგრამ უფრო დიდი უკადრისობა ისაა, რომ მხოლოდ გადაკვრით, კილოკავობით, მალულად და ფარულად იხსენიებს პირადობას და ამის გამო უფრო ეჭვში შეჰყავს საზოგადოება. გრიგოლი თუ მართლა პატიოსანი და ზნეობის დამცველი ლიტერატორია, აბა ის პირადობა გამოაქვეყნოს...

წინანდელს მასლაათში აღვნიშნეთ, რომ გრ. ყიფშიძე თუ გავშოლტეთ და სალაღობოდ ავიღეთ, ამის მიზეზი ის თითონვე არის,—იგი სალიტერატურო ზეცაში ნავარდობს, საფილოსოფიო საგნებს ეპოტინება და ძალა-კი არ შესწევს. დასამტკიცებლად მაგალითი მოვიყვანეთ, სალიტერატურო დოკუმენტი დავასახელეთ. ასეთს დოკუმენტს ნ. ხუდადოვის წერილი შეადგენს, ჟურნალ „ივერიის“ კრიტიკოსისა.

ამ წერილში კრიტიკოსმა ჩვენზედ უფრო სასტიკად და შეუბრალებლად გაცოცხა ეს მეტიჩარა ფილოსოფოსი და სოცარის ლოღიკით დაამტკიცა, რომ გრიგოლს „რიგიანად არა უსწავლია-რა, არა გამოუკვლევია-რა, ხეპრული ანდაზები და მეცნიერული ჭეშმარიტებანი ერთმანეთში დომხალივით აურევია“.. თავმოყვარე გრიგოლი მეტად გაანჩხლებულა, რომ იმის ატესტატი და პატენტი საზოგადოების დასანახვებლად ფანჯარაში გამოვფინეთ. იმის გულის წუხილსა და სირცხვილს საზღვარი არა აქვს. და, რადგანაც სხვა ვერა გაუწყვია-რა, სალიტერატურო დოკუმენტს აბათილებს, სიყალბეს სწამებს და ამბობს,—„სადაური ლოღიკაა, ამა და ამ დროს „ივერიის“ კრიტიკოსმა მასხარად აგიღო და მეც იმიტომ გამომყეხარ სალაღობო მოედანზედაო“... ეგეთი ლოღიკა ფრონის ხეველია, სწორედ იქაური, სადაურიც იმის პატრონი ბძანდება. ხოლო ჩვენი-კი სხვაგნებურია: მასხარად გრ. ყიფშიძე იმიტომ-კი არ ავიღეთ, რომ ასე მოექცა ნ. ხუდადოვიც,—არა, ნ. ხუდადოვის კრიტიკული წერილი ჩვენ დოკუმენტად მოვიყვანეთ, იმის საბუთად წარმოვადგინეთ, რომ პირადობა მასლაათის დროს არაფერ შუაში ყოფილა. „ივერიის“ კრიტიკოსმა ილია ჭავჭავაძეცა და მოჩხუბარიძეც გაკიცხაო... იცის-კი ტოლების ამორჩევა!... ჰო და, ვისზედ რა ნაკლებია! კრიტიკოსი შესცდა, რომ ჩემი ქმნილება აბუჩად აიგდო და გაკიცხა ლიტონისა და მაგარ-მაგარის სიტყვებითაო... დიაღ, დიდად შესცდა, ისე დიდად, რომ ახლაც-კი სინანულშია. რასაკვირველია, ჩვენ უფრო დიდად შევცდით, რომ „სალიტერატურო ზრდა“ სასაცილოდ ავიღეთ! მე პასუხი მივეცი და პლებსი მალამსო... აბა გრ. ყიფშიძე უპასუხოდ ვის გაუშვებდა, მაგრამ პასუხიც არის და პასუხიცა. ვინ არ იცის, რომ „ივერიის“ მაშინდელი კრიტიკოსიც ჩემსავით „თავ-პირ დალეწილი, ძირს გართხმული“, „ქედ-მოხრილი და ზვიადობა—შემუსვრილი“ ახლაც გრ. ყიფშიძეს ეაჯება და ემუდარება,—შემიბრალე და ნუ გამსრესამო...

მერე მოჰყოლია გრიგოლი და თავისის წერილის ნაფლეთებით ვითომ

მჯდომარე ათის წუთით სწყვეტს კრებას).

თავმჯდომარე. (სხდომის გახსნის შემდეგ). თ. ივ. ჭავჭავაძევ, თქვენა გთხოვენ კრების თავმჯდომარეობას—თანახმა ხართ? (ხმა: გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ. თ. ჭავჭავაძე უარს აცხადებს) შემდეგ დაასახელეს ორი კანდიდატი: თ. ნ. ანდრონიკაშვილი და გენ. მუსხელიშვილი. ანდრონიკოვი დასთანხმდა კენჭის ყრაზე.

თავმჯდ. გნებავსთ, ბ-ნო მუსხელიშვილო, კენჭი იყაროთ, თუ არა?

გენ. მუსხელაშვილი. არა, არა მსურს, რადგან ბევრი საგნები და სალაპარაკო მაქვს. გაბაშვილიც უარს აცხადებს.

გენ. მუსხელიშვილი (ცოტა სიჩუმისა და სხვებთან მოლაპარაკების შემდეგ) რომ ბოლოს მოვუღოთ ამ კითხვას მეც ვთანხმდები კენჭი მიყარონ (ყვირილი: უკენჭოდ!) ისმის თ. გ. ი—ძის ორბელიანის ხმა: კენჭი, უყარეთ, კენჭი! გთხოვთ ყუთი ანდრონიკაშვილს დაუდგათ. დაიწყეს კენჭის ყრა.

კენჭი იყარეს თავ. ნ. ანდრონიკაშვილმა და დ. ი. მუსხელიშვილმა არჩეულ იქმნა დ. ი. მუსხელიშვილი 185 ხმით წინააღმდეგ 112.

დ. ი. მუსხელიშვილმა მადლობა გამოუცხადა კრებას არჩევისათვის და პატიოსანის სიტყვით აღუთქვა, რომ თავის მოვალეობას პირუთვნელად აღასრულებს.

სხდომა დღეს ათ საათზე დაიწყება.

გრ. აბაშიძე.

კორესპონდენცია.

—

სოფ. ბებნისი (გორის მაზრა) 18 აპრილი. წარსულის წლის შემოდგომის წვიმებმა ერთობ თავი მოგვაბეზრა, სახლები და ბოსლები დაგვინგრია, წვეთმა დიდად შეგვაწუხა, საძილე ადგილი აღარ გვქონდა, რის გამოც ზამთრის გრძელი ღამეები ბევრჯერ უძილოდ გავატარეთ; სახლებიდამ და ბოსლებიდამ ტალახის ხვეტას ვერ ვსდიოდით. ბუნებამ დიდად დაგვანატრუნა თოვლს. დადგა იანვრის შუა რიცხვები, აგვასრულდა ნატვრა: დაიწყო თოვლმა დენა. ხალხისა და საქონლის სადგომებში წვეთი შეწყდა, მაგრამ სამაგიეროდ ბანების ხვეტას ვერ ვსდიოდით. მერმე ზედ მოჰყვა საშინელი ქარ-ბუქი და იმდენი თოვლი მოგვიზიდა ქარმიდამოებზე, რომ ვამბობდით: „კიდევ არის სადმე ქვეყანაზე თოვლიო?!“ დადგა მარტი და თან მოჰყვა მარტისებური თოვლ-ჭყაპი, რომელმაც თოვლის ზვავები უცბად დაადნო, თოვლი წყლად იქცა და მიეცა სახლებს, ხალხისა და საქონლის სადგომებს. ესეც არ გვაკმარა შეუბრალებელმა ბუნებამ. დადგა აპრილი, აგერ თითქმის კიდეც გაილია იგი და მკაცრს სიცივეებს ბოლო არ ედება. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარები ერთმანეთს სცვლიან და რიგ-რიგით გვამკობენ თოვლითა და წვიმით.

საზოგადოდ, როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებში, ისე ჩვენც ცოტად თუ ბევრად დაგვაზარალა შემოდგომისა და ზამთრის ცუდმა ამინდებმა. შემოდგომის ხანგრძლივმა წვიმამ და უცბად გამდნარმა ზამთრის თოვლმა დაგვილპო სადგომების სახურავები; ზოგს სახლი მთლად დაგვინგრია, ზოგს კედლები ჩამოგვიქცია, თუმცა არც ადამიანი და არც საქონელი არ უმსხვერპლნია. ზოგის მიწურს სახლებში და ბოსლებში წყაროებიც-კი ამოვიდა და დაგუბდა, რის გამოც მათში ხალხისა და საქონლის დგომა შეუძლებელი შეიქნა. ზოგის სახლები ისე დაძაბუნდა, რომ მათში დგომა ხალხისა საშიშია და დღემდის თავს არ ანებებენ სხვა თავშესაფარის უქონლობის გამო. შემოდგომის ხანგრძლივმა წვიმამ გასტეხა აგრეთვე ახლად დამთავრებული ეკკლესია და სულ ერთიანად ჩამორეცხა შინაგანი მორთულობა თაღისა. ეხლა უთუოდ საჭიროა ამ ეკკლესიის ხელ-ახლად შეკეთება, სახურავის გამოცვლა, თაღის მორთულობის განახლება და ჩვენ კი თავზევით ძალა აღარა გვაქვს.

ჩვენს ზარალს არც ამითი მოეღო ბოლო. სახლებში დაგვილპა ბზე, ჩალა, რომელთაც ზამთარში თუ გაზაფხულზე ვყიდდით და წლიურს ხარჯებს მითი ვაშორებდით. ახლა-კი მშრალი საკვები საქონლისათვის ჩვენს ბედზედ არ მოიპოვება; ორმოებში და სახლებში წლის მოსავალზედ ხომ ნახევრობით ავიღეთ ხელი. ვენახებში ზოგიერთა ხილები ძირიანად გახმო სიცივემ, ზოგსაც ეხლა აურევინებს კვირტს. ყველა ზემოდ აღნიშნული ზარალი ჩვენის ღარიბ სოფლისათვის, თქმა არ უნდა, მეტად სამძიმოა. მაშ რამ აიძულა ჩვენი პატიოსანი ხევის თავები, რომ გაიძახიან: „ზარალი არა მოგვსვლია-რაო?!“

აპრეზა.

19 აპრილი, 1896 წ.

ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

ამ უკანასკნელს წლეებში ყველა ჩვენი სოფლები და ქალაქები, სადაც ცოტაოდნად მაინც ეტანებიან მეაბრეშუმეობას, როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველს, სავსეა უცხოეთიდამ მოტანილ აბრეშუმის თესლით. უმეტესი ნაწილი ამ თესლისა უვარგისია (промышленная грена), თუმც ყუთებზე-კი აწერენ, რომ თესლი პასტერის მეთოდით არის დამზადებული (целлюлярная). მეთესლეებს ამნაირი თესლის დამზადება ჩალის ფასად უჯდებათ და ჩვენს ბაზარში იმათთვის კონკურენციის გაწევა პასტერის მეთოდით დამზადებულ თესლით სხვა მეთესლეს არამც თუ უჭირს, არამედ შეუძლებელიცაა, რადგანაც ამ მეორეს დამზადება ორ აბაზზე მეტი ჯდება; საბაზრო თესლი-კი თითქმის ერთი ფუთის დამზადება არ ჯდება ამ ფასად. ჩვენდა სამწუხაროდ მეაბრეშუმეები უფრო ეტანებიან ამ თესლსა და სხვა და სხვა პირობებით ღებულობენ; ბოლოს მოგების და სარგებლობის მაგივრად დიდ ზარალს ეძლევა მეაბრეშუმე და მისი ეკონომიური მდგომარეობა თან და თან შესამჩნევად ქვეითდება. კავკასიის საბრეშუმო სადგურმა თავისს დროზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და წარუდგინა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იხმაროს მთავრობამ, რომ მეაბრეშუმეს დახმარება გაუწიოს კარგისა და საღი თესლის შეძენით. სადგურმა ამ საშუალებად ჯერ-ჯერობით ჰსცნო თესლის აუცილებელი კანტროლი. სამინისტროს ეგრეთი კანტროლი კანონიერად არ დაუმტკიცებია ჯერ, რადგანაც იგი ეხება ისეთს მუხლებს კანონებისას, რომლებიც თხოულობენ ყველა სამინისტროების თანხმობას. ამ ჟამად, ვიდრე კანტროლი ოფიციალურად დამტკიცდებოდეს, საბრეშუმო სადგურში წარმოებს შემდეგი კანტროლი: ყოველი მეთესლე, ადგილობრივი იქნება იგი, თუ უცხოელი, წარუდგენს სადგურს თავისს თესლს სადგურში. თითოეულ ათს (10) ყუთზედ ერთს ყუთს აიღებენ გასასინჯად. მაგალითად, მეთესლემ წარმოადგინა 1000 ყუთი თესლი გასასინჯად.; აქედამ იქნება აღებული (არჩეული)—100 ყუთი, ამ ყუთებიდამ აღებული იქნება ნიმუშები. (100); როდესაც ამ აღებულ თესლიდამ მური დააპირებს გამოსვლას *) მაშინ მიკროსკოპიულად გაარჩევენ ნიმუშებს. თესლის მიკროსკოპიულად გასინჯვის დროს შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ ერთი ავადმყოფობა—პებრინა. თუ არც ერთს აღებულ ნიმუშებში არ აღმოჩნდა პებრინა, მაშინ მეაბრეშუმეს ეძლევა სადგურიდამ მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ამა-და-ამ მეთესლის წარმოდგენილ თესლში არ აღმოჩნდა პებრინა და საღია. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ნიმუშები იქმნება პებრინიანი, მაშინ მოწმობაში ეწერება, რომ ამ მეთესლეს თესლში (ყველა ნიმუშებში) აღმოჩენილი იყო პებრინა და დასაჯდენად უვარგისია; თუ აღებულ ნიმუშებში ზოგში აღმოჩნდა პებრინა და ზოგში არა—მაგალითად: 100 ნიმუშში 40 ნიმუში პებრინიანი იქმნება, მაშინ მეაბრეშუმემ უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ეგრეთი თესლის შეძენა არ არის სასურველი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კარგი და საღი თესლი გასასყიდად არ იშოვება, მაშინ მეაბრეშუმე იძულებული იქნება შეიძინოს ისეთი თესლი, რომელშიაც 10 ან 15 ნიმუშზე მეტი არ იყოს პებრინიანი (100—100—15), მაგრამ ამგვარს თესლს მეტის-მეტი მოვლა და ჯაფა დასჭირდება და ბევრი ფურცელი, რომ ცოტაოდენი მოსავალი მაინც მოვიდეს. წელს შედარებით ცოტა მეთესლეებმა წარუდგინეს სადგურს გამოსარკვევად თესლი, რადგანაც მიმოსვლა ტფილისსა, ბათუმსა და სხვა ქალაქებს შუა დიდხანს შეწყვეტილი იყო. სულ სადგურს კანტროლისათვის წარედგინა შემდეგი ფირმების თესლი:

1) კრონომიდეს. 180 ყუთი. ამათში 39-ში პებრინა აღმოჩნდა 81 საღი. (პებრინა არ იყო აღმოჩენილი)

2) გოლფვარა იპერიე აღებული იყო კანტროლის 100 ყუთი. 9 პებრინიანი და 91 საღი.

3) ბერტე აღებული 30 ყუთი: 7 პებრინიანი, 23 საღი.

4) სტეფანიდეს: 74 ყუთი 2 პებრინიანი, 72 საღი.

5) კობუნიდეს—ლასკარიდეს: 284 ყუთი სულ საღი;

6) ზენობ-ოგანიან: 125 ყუთი სულ საღი აღმოჩნდა.

7) პავლოს-პამბუდის 180 ყუთი, 60 პებრინ. 120 საღი.

8) ანდრიკო-დელიფოტი 39 ნიმუში 11 პებრინ. 28 საღი.

9) ხრისტო-ლიაკკოს 15 ნიმუში სულ საღი აღმ.

10) ევანგელინას—ბალაბანიდეს 69. 10 პებ. 59 საღი.

11) ვასილაკი ნიკო პოლოიდეს 56 ნიმ. 54 პებრინ. 2 საღი.

12) ესტატაოს კურჩუ 88 ნიმუში 15 პებრინ. 73 საღი.

13) გეორგი კუზუნი 78 ნიმუში 39 პებ. 37, საღი.

14) სუზანი აღებული ნიმუშ. 30 ყუთ. 5 პებრ. 25 საღი.

15) ხრისტო იავაშოგლი აღებულ. 10 ნიმ. სულ. საღი.

16) ძმები (ბრატია) იავაშოღლი აღებულ. 24 ნიმ. 2 პებ. 22 საღი.

17) სრიგორიადი 10 ნიმუში სულ საღი აღმოჩნდა.

18) კარნიკ 10, სულ საღი აღმოჩნდა.

19) ტილკიან კარაპეტ 63 ნიმ. სულ საღი აღმ.

20) ოგანეს ლაპადჟიან 85 ნიმუში 4 პებრინ. 81 საღი.

21) კრიკორ კარადჟიან 40 ნიმუშ. სულ საღ. აღმ.

22) კუნდურადჟი 30 ყუთი, 16 ყუთი პებრინ. 14 საღი.

23) კოსეან ლატიფიანი 240 ყუ-

---

*) აღებულ ყუთებიდამ თესლს პატარა ქაღალდის პაკეტებში ჩაჰყრიან ას ან ას ოცამდე—100—120 მარცვალსა და შემდეგ გადიტანენ ინკუბატონში, სადაც საჭირო სითბოს ძალით ორი კვირის შემდეგ თესლიდამ დააპირებს მური გამოსვლას. ავტ.

და ამტკიცებს, რომ ევროპიულს მეცნიერებას არ უარვყოფდიო. ამის საბუთად სწორედ სამი პაწია და თაგვის კუდის ოდენა ნაფლეთი მოჰყავს. პასუხის მიცემაც ამას ჰქვიან! ხოლო „ივერიის“ კრიტიკოს მრავალი მაგალითი აქვს ნაჩვენები იმის დასამტკიცებლად, რომ გრ. ყიფშიძეს არა გაეგება-რა ევროპიულის მეცნიერებისა, „თითქმის სამშობლოს ღალატობად მიაჩნია თეორეთიული განვითარება.“ კრიტიკოსი თავისს წერილს დაცინვით ასე აბოლოვებს: „რატომ ბ. ყიფშიძეს და მის მგზავსებს აქამდის თხოვნა არ შეუტანიათ, მთავრობასთან, რომ აეკრძალოს ქართველებს სწავლა გიმნაზიებში და უნივერსიტეტში, თორემ ხომ სულ დაიღუპა სამშობლოო“...

—

შემდეგ... მაგრამ ჯერ ერთი ამბავი უნდა აღვნიშნო, სახელდობრ ისა, რომ პლებსს კაკარდა აქვს შუბლზედ მიკრულიო. ნამდვილი და ჭეშმარიტია, მაგრამ, ღმერთი და ხატი, რომ ვერ გამიგია, კაკარდიანი ქუდი ვითომ რა ნაკლებია სადიაკვნო კოლოპურტში აღებულს ქუდზედ. მოგვეცა ღვთის წყალობა, გრიგოლმაც-კი არ დაიწუნოს კაკარდა, მაგრამ საქმე ის არის, სად გახლავთ! ხომ მოგეხსენებათ, კატა ძეხვს ვერ შესწვდა და დღეს პარასკებიაო! დიაღ, ის უნდა მეთქვა, რომ შემდეგ გრ. ყიფშიძე ვრცლად მოგვითხრობს, რომ დიდ ვინმედ ჩემი თავი არ მიმაჩნია, სააქაო დიდებას არ ვეძებ, მე მხოლოდ ენის მცოდნე და მთარგმნელი ვარო... აი როგორც გიორგი მთაწმინდელი, ლიუტერი, კირილე და მეთოდი იყვნენ... ბევრს სხვას ამისთანებს როშავს და ისვრის, მაგრამ ყველა რომ ჩამოვთვალოთ, ძლიერ შორს წავა. საყურადღებოა, რომ მოკამათე სულ უბრალოდ და მარტივად გამოთქმულს აზრსაც-კი ვერ მიხვედრილა. თუ არა და, იქნება მიხვდა, მაგრამ განძრახ ასხვაფერებს. მასლაათში ნათქვამი იყო, რომ გრიგოლ ყიფშიძეს განდიდების ქავილი აქვს ატეხილი, საფილოსოფიო საგნებს ეპოტინება, მაღალ ფარდებში ფრენას ეტრფიალებაო. ამას ისიც ჰქონდა ზედ დართული, რომ იმან „სასაცილოდ დაიწყო სალიტერატურო მოღვაწეობა—აილო და პირდაპირ ნავარდობას მოჰყვა სალიტერატურო ზეცაში, სწორედ იქ, სადაც უზენაესის აზრის სამფლობელოაო“... ახლა მოჰყოლია „მოამბის“ მიმომხილველი და გულსა და მკერდს იმტვრევს ფიცით, რომ არც დიდ მწერლად გარდაქცევა მდომებია და არც მაღლა ფრენა მსურვებიაო, თითქო არავინ იცოდეს, რომ რაც უნდა თავი განიდიდოს და გაიბეროს, რაც უნდა მაღლა იფრინოს და იხტუნოს, მაინც იმაზე მეტს ვერ აიწევს, რაც ლიტერატურის მეუფეს ზომა და წონა მოუნიჭებია. „განდიდების ქავილი“ ერთგვარი ავადობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, საბა სულხან ორბელიანი არ იხსენიებს. ამ ავადობას ლიტერატურაში საფილოსოფოსო აჯორებასაც ეძახიან. ხოლო ეს აჯორება ჟამითი ჟამად ევლინება ისეთს ლიტერატორს, რომელსაც დიდებულ რუსთაველის მცნება ავიწყდება—

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს,
დასჯერდეს და მას უბნობდეს„...

გრ. ყიფშიძე ამბობს, რომ აგერ თვრამეტი წელიწადია, რაც თითქმის განსაკუთრებით სალიტერატურო შრომას ვადგევარ, ამ თვრამეტს წელიწადში უმეტესი დრო „შავს, სამურეხო მუშაობას“ მოვახმარე და აბა „განდიდების ქავილი» საიდგან ამიტყდებოდაო. მაგრამ სავალალოც ის არის, რომ ეს „შავი და სამურეხო მუშაკი“, რომელსაც ბედმან მარტო სარედაქციო წვრილმანობა და ნაგავის გადაყრა წილად არგუნა, თავისს ხვედრს არა სჯერდება და დროგამოშვებით საფილოსოფოსოდ აჯორდება ხოლმე.

მაშ რა არის „შავისა და სამურეხო მუშაკისათვის“ ეს ,,სალიტერატურო ზრდა“, ეს ლიტერატურული მიმოხილვა, თუ არ საფილოსოფოსო აჯორება!? ასეთი მოღვაწეობა რა გრ. ყიფშიძის საქმეა და ან რა ფასი უნდა ჰქონდეს იმის სამიმომხილველო ცოდილობას?! ყველა პატიოსანმა მუშაკმა თავისი ძალა უნდა იცოდეს და ხელი არ უნდა მოჰკიდოს ისეთს საქმეს, რომელიც ბეჯითად არ იცის, რომლისთვისაც მომზადებული არ არის. მაგრამ გრ. ყიფშიძეს არა სწამს, რომ ცოდნა და მომზადება საჭიროა ლიტერატურისათვის და ლიბერალურ კილოზე გალობს—„ეს ჩვენი საუკუნე იმითია, სხვათა შორის, დიდებული, რომ მან აღიარა და განახორციელა კიდეც მოძღვრება სიტყვისა და წერის თავისუფლებისა, აზრების თავისუფლად აღებ-დაღებისა და მსჯელობისაო“... ლიტერატურა მოხელეობა არ არისო, ყველას ნება აქვს ჟურნალში სწეროს: უმეცარსა და მეცნიერს, უნიჭოსა და ნიჭიერს, რადგანაც სრული თავისუფლება დამყარდაო...

მართლაც და, ამ სიტყვების შემდეგ, ბ-ნ ნ. ხუდადოვის თქმისა არ იყვეს, მარტო ერთი გვაკვირვებს: რატომ გრ. ყიფშიძეს და მის მსგავსებს აქამდის თხოვნა არ შეუტანიათ „მოამბის“ რედაქტორთან, რომ აეკრძალოს ქართველებს მომზადება და ცოდნა, თორემ ხომ სულ დაიღუპება ქართული ლიტერატურა!..

Plebs.

თი, 41 პებრინ. 199 სალი.

24) მიკრან ხადეიან ნიმუში 18 ყუთი სულ სალი.

25) კარაპეტ სერენიან ნიმუში 80 ყუთი 2 პებრინ., 78 სალი.

26) „ბრატია“ პალტიდის ნიმუში 4 ყუთი 2 პებ., 2 სალი.

27) ბაბას 2 ყუთი ნიმუში 1 პებ., 1 სალი.

28) ტარაკიან 20 ყუთი ნიმუში სულ სალი აღმოჩნდა.

29) ხრისტოდულიდის 10 ნიმუში სულ სალი აღმოჩნდა.

30) ტივიან 20 ნიმუში, 20 სულ სალი.

31) მარჰეს სარიანსარიან 9 ნიმუში სულ სალი.

32) ტიმოთეს პალუპიან 20 ნიმუში 8 პებ., 12 სალი.

კიდევ ადგილობრივი მეთესლეების თესლი იყო გასინჯული: ჩოლაყაევისა, სუკიასოვის ასულისა და აფრიკიანისა (ტუნიანცის), ჩოლაყაშვილისა და სუკიასოვის თესლში არ იყო ამორჩენილი პებრინა; ტუნიანცის თესლში-კი აღმოჩნდა. დასასრულ მეაბრეშუმეთა ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ წელს, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები, საბაზრო და უვარგისი თესლის რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე წარსულ წლებში; ამისათვის მეაბრეშუმეს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა ჰმართებს, რომ ბოლოს ჯაფამ და შრომამ მოგებისა და სიხარულის მაგივრად ზარალი და მწუხარება არ მოუტანოს. მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს იმოდენი თესლი, რამდენის მოვლა და გამოკვება მას თავისუფლად შეუძლიან, ე. ი. აქვს სრული სახლი ჭიისათვის, სამყოფი ფურცელი და სხვა-და-სხვა. მე ხშირად მინახავს, რომ მეაბრეშუმე, რომელსაც ერთი ყუთი თესლის სამყოფი ფურცელიც ძლივს მოეპოვება, ორსა და სამ (2-3) ყუთს თესლს იძენს იმის იმედით, რომ ფურცელს სხვისაგან იშოვის; ბოლოს, როდესაც ფურცელი ოქროს ფასად გახდება, იძულებულია ორ ჭირში ერთი ირჩიოს: ან ყველა ჭიები შიმშილით დახოცოს, ან და ფურცელში გასცეს იმოდენი ფული, რომ ბოლოს მოგების მაგივრად ვალი დაედვას. ასეა თუ ისე, ორსავე შემთხვევაში მეაბრეშუმეს ხელიდამ ეცლება მთელი მოსავალი. სამწუხაროდ წელს ბევრს მეაბრეშუმეს მოელის ეგრეთი შემთხვევა, რადგანაც წარსულმა არ ჩვეულებრივმა ზამთარმა იძულებული გახადა ბევრი მათგანი—უმეტესი ნაწილი თუთის ხეებისა შეშად და ხარდნად ეხმარათ. რადგანაც ჩვენ გამოცდილებამ ამის შესახებ ბევრი რამ გვასწავლა, ამიტომ ვურჩევთ იმ მეაბრაშუმეს, რომელსაც ან ფურცლის სიცოტავე ან სხვა რამ მიზეზი ხელს უშლის წელს აბრეშუმი მოიყვანოს, ნუ შეიძენს თესლს და მისი ფურცელი კარგს ფასში გაჰყიდოს.

ი. ქუთათელაძე.

უცხოეთი

მაკედონიის საქმეები. „ნევ ფრეიე პრესსი“ ამბობს, რომ სულთანსა და ფერდინანდს მოლაპარაკება ჰქონდათ მაკედონიის შესახებ და ამრიგად შეთანხმდნენ. გაზეთების სიტყვით ამგვარი ცვლილება იქმნება შემოღებული მაკედონიაში და ადრიანოპოლის ვილაიეტში: ყოველს ოლქში დაწესებული იქნება ადმინისტრატიული კომისია, რომელიც იქნება წარმომადგენელი მაკედონიაში მცხოვრებ ერებისა. კომისსია შესდგება ერების წარმომადგენლებიდამ, ყოველ ერს თავისი რაოდენობის და გვარად ეყოლება წარმომადგენელი. პოლიცია და ჟანდარმერია იქნება შედგენილი ისე, როგორც ამას მოისურვებს უმეტესობა. შეუტანელი გარდასახადი ეპატიება ხალხს. ამ რეფორმების სისრულეში მოყვანა დაევალება ვილაიეტების განსაკუთრებულს კომისსარებს.

იტალია. „კორიერე დი ჩესინაში“ სწერია პორუჩიკი ბარჟის წერილი. იგი ამტკიცებს, რომ პოლკოვნიკი გალიანო სიკვდილით დასჯილ იქმნა, იმიტომ, რომ სიტყვა მისცა არ ვიომებ აბაშელთა წინაამდეგ და ეს სიტყვა დაარღვიაო. აი საქმე როგორ ყოფილა: ადუასთან მომხდარს ბრძოლაში გალიანო ადგილობრივ ჯარებს სარდლობდა. იგი გასაოცრად იბრძოდა, 5 საათის განმავლობაში ბრძოლის ველზედ ცეცხლი არ ჩაუქვრია და ჯარებს ამხნევებდა საომრად, მაგრამ ჯარები მაინც გასწყვიტეს, რადგან ყოველის მხრით მტრები გარს ერტყა. მტრებს ხელში ჩაუვარდა გალიანო და 25 ჯარის კაცი. თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. რამდენსამე ალაგას დაჭრილი გალიანო წაიყვანეს ნეგუსის ბანაკში და 2 მარტს სამართლის წინაშე წარსდგა. გალიანოს სასარგებლოდ მხოლოდ ერთმა რას ალულამ ილაპარაკა. მართალიაო, სთქვა მან, გალიანომ სიტყვა გასტეხა, მაგრამ, როგორც მეომარი, იგი უნდა დამორჩილებოდა თავისს უფროსს. მიუხედავად ამისა რასმანგაშამ დაარწმუნა ყველანი, რომ მიუცილებელია გალიანოს სიკვდილით დასჯა. მას მიუსაჯეს ჩამორჩობა, მაგრამ რას მაკონენი გამოესარჩლა და სთქვა უმჯობესია დავხვრიტოთო, როდესაც ჯარის-კაცები მივიდნენ და უნდოდათ გალიანოსთვის თვალები აეხვიათ მან სთქვა: „იტალიელ მეომარს არ ეშინიან სიკვდილისა და ყოველთვის პირდაპირ შეხვდება მას. გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს იტალიას.

◆ ◆

თეატრის მატიანე.

—

განსაკუთრებულის ინტერესით, მივდიოდით თეატრში გუშინ, რათა გვენახა მაქს ნორდაუს პიესა „სიყვარულის უფლება“. ამ მწერალმა ევროპის ეხლანდელს გამოჩენილს მწერლებს ყველას გიჟები და ფსიხოპატები უწოდა, გადაგვარებული ჯურის ადამიანები, მაგ., გამოჩენილს იბსენს ეპილეპტიკი დაუძახა. გვინდოდა გვენახა სულით მრთელის მწერლის ნაწერი. ვნახეთ იგი და სწორედ ის შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ბ. ნორდაუ მრთელი ადამიანი ყოფილა, მხოლოდ დიდი ნიჭის პატრონი კი არა.

ზემოხსენებულ მის პიესას თანამედროვე ტემა აქვს შემუშავებული. მდიდარს კომერსანტს ვარმუნდს (ბ. ლუდვიგოვი) ჰყავს ლამაზი ცოლი ბერტა. (ქ-ნი ვარონინისა) ბერტას შეუყვარდება თავისი ქმრის მეგობარი ბარდენგოლმი (სოკოლოვი) და დანებდება მას. პატარა ხანს მერე ბერტა ქმარს გაუტყდება, რადგან მისთვის, როგორც პატიოსანი გულის ადამიანისათვის შეუძლებელია იცხოვროს ამნაირად: სულ უნდა იცრუოს, ატყუოს ქმარი, საზოგადოება და სხვ. ქმარი დიდის აღელვების შემდეგ, შვილების ბედზედ ფიქრობს და ურჩევს ცოლს, გაჰყევიო ცოლად შენს საყვარელს. დაიბარებს კიდევაც ბარდენგოლმს, არწმუნებს, რომ მისი მოვალეობაა შეირთოს ბერტა. ცოტა ყოყმანს რომ დაიწყებს ბარდენგოლმი, ვარმუნდი ფულსაც შეაძლევს; ხომ სულ ერთია, ჩემმა შვილებმა მაგასთან უნდა იცხოვროს ნახევარჯერ და ვითომ მათთვის ხარჯადაო. ბარდენგოლმი მაინც ყოყმანობს. ბერტა იმდენზედ აღელვებულია თავისი საყვარელის ყოველივე სისაძაგლით, რომ ზიზღით ზურგს შეაქცევს მას და ქმარს სთხოვს პატიებას. ქმარი არ აპატიებს, მაგრამ ეტყვის, ჩვენი შვილებისთვის საჭიროა ერთად ვიცხოვროთ, და ვიცხოვროთო, ხოლო თავის დღეში კი არ გაპატიებო. მაქს ნორდაუს, მიუხედავად მისი ზიზღისა ახალ მწერლებისადმი, მათი გავლენა აჩნევია ამ პიესაში. მთელი ინტერესი პიესისა აქაც ის არის, რაც იბსენის „ნორაში“ და ზუდერმანის „სამშობლოში“, რომელზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. ქალის უფლებების დაფარვა, მისი პირადობის გამოსარჩლება. თუ იბსენი და ზუდერმანი ეხლანდელს საზოგადო წესწყობილებას ჰკიცხავენ და ქალების მდგომარეობაში შედიან, მათ უფლებებს საქვეყნოდ აღიარებენ, ნორდაუ ამ პიესაში მაინც, პირადობას და განსაკუთრებით ქალისას საზოგადოებრივ მოთხოვნილებას უმორჩილებს და „სიყვარულის უფლებას“ თითქო კიდევაც დასცინისო. მისთვის, როგორც ჯან-სალი ბურჟუასთვის, მთელი ცხოვრების მორალი იმაზედ არის დამოკიდებული, რას იტყვის „მარია ალექსეევნა“ და ამ „მარია ალექსეევნების აზრი“ მას მორალის შეურყეველ კანონად მიაჩნია.

არტისტთა ანსამბოლი კარგი იყო, მხოლოდ კერძოდ ვერც-ერთმა ვერ შეასრულა თავისი როლი ძალიან კარგად. ყველას სჯობდა ისევ ქ-ნი ვარონინისა, რომელსაც ეტყობა გულ-წრფელობა და სინამდვილე გრძნობათა გამოხატვაში.

◆ ◆

„ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 აპრილი.

პარიზი. ბორდოში, ლიონში, რუბეში და ტურმეში რამდენიმე მუშამ შესწყვიტა მუშაობა. არსად არავითარი უწესოება არ მომხდარა. სოციალისტ-რადიკალთა დეპუტატებმა გარდასწყვიტეს შეადგინონ კომიტეტი, რომელსაც აზრად ექნება აღელვოს საფრანგეთი სენატის წინააღმდეგ. კომიტეტის თავმჯდომარედ იქნება ბურჟუა. კომიტეტის წევრებად—უწინდელი მინისტრები (პარლამენტი. უწინდელ სამინისტროს წევრების გაცხარებულის კამათის შემდეგ მელინი ეთანხმება ბოზერიანის ფორმულას, რომელიც აღიარებს, საყოველთაო არჩევნების უპირატესობას და სამინისტროს დეკლარაციას ეთანხმება. პირველს ნაწილს ამ ფორმულისას ეთანხმება მთელი პარლამენტი. მეორე ნაწილის შესახებკი ხმები მოკრიბეს და წინააღმდეგი აღმოჩნდა 196, ხოლო მომხრე 231 ხმა. შემდეგ პარლამენტი 299 ხმის უმეტესობით 256 წინააღმდეგ მიიღებს მთლად ერთიანად ზემოხსენებულს ფორმულას და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება. პარლამენტის სხდომა გადაიდვა 16 მაისისათვის.

პოტსდამი. 18 აპრილს ახალს სასახლეში ბულგარიის მთავრის პატივსაცემლად გამართული იყო სადღესასწაულო საუზმე. იმპერატორმა დალია თავადის სადღეგრძელო.

ვენა. 18 აპრილს პრატერში მუშებმა, რომლებმაც შესწყვიტეს მუშაობა, უწესოება მოახდინეს. რამდენიმე მუშა დაატუსაღეს.

კონსტანტინეპოლი. ზეითუნში კაიმახანად (ვიცე-გუბერნატორად) მაჰმადიანის დანიშვნის გამო, როგორც ვიცით, სამთა სახელმწიფოთა მთავრობამ (ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთისამ) წინააღმდეგობა განაცხადა. პორტას პასუხად შეუთვლია ეს მხოლოდ დროებითი ზომაა და სახელმწიფოთა სურვილი ჯერჯეროდბით შეუსრულებელიაო.

ლონდონი. პრეტორიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეხლა გამოქვეყნებულმა დეპეშებმა, რომლებიც „Chartered company“-სა და ჯემსონს გაუგზავნიათ ერთმანეთისათვის. დეპეშები ამტკიცებენ, რომ როდსსა სცოდნია ჯემსონის პროექტები და რომ შესევის წინად რეფორმებას კომიტეტის წევრებს იოჰანესბურგში უთხოვიათ ჯემსონისათვის ჯერჯერობით თავი დანებე შესევასაო. დეპეშებიდამა სჩანს რატომ არ აღესულებინა მათი თხოვნა.

(პირლამენტი) კერზონი ამბობს შემდეგ კითხვაზედ: მართალია თუ არა, რომ ჩინეთს ნება დაურთავს რუსეთისათვის გაიყვანოს ციმბირის რკინის გზა პორტარტურამდის, ის პასუხი მივეცი, რუსეთის მთავრობამ შეატყობინა ინგლისის მთავრობას, რომ ამის შესახებ კრინტიც არავის

პეტერბურგის ბირჟა, 19 აპრილი.

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველის.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო.	7,60	— „	— „
5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	— „	— „	215½
4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	— „	— „	100⅞
4°/₀ იმავე ბანკისა .	97¼	— „	— „
6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . .	101	— „	— „
5°/₀ იმავე ბანკისა. .	99½	— „	— „
6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	101	— „	— „
5°/₀ იმავე ბანკისა .	99½	— „	— „
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	99⅞

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა,—მონაწილეობას მიიღებენ მსურველნი ვაჭრობაში როგორც პირველად, ისე წერილობითაც: უნდა წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტებში თავიანთი განცხადებანი: 1) ქალაქ ტფილისის ქუჩებისა, მოედნებისა და ქუჩების შესახვევების ქვით მოკირწყვლა და ღრო-ჩოღროვებულ ადგილების შესწორება, სულ 19000 მან. წელიწადში, ორის წლის ვადით. საჯარო ვაჭრობა მოხდება ქალაქის გამგეობის თანადასწრებით 25 აპრილს, დღის 12 საათზედ. მსურველთ ამ დროსთვის უნდა წარმოადგინონ 300 მან. გირაო და 2) 20 ცხენისა თავიანთის საჭირო შესაკმაზ იარაღითა, კაცებითა და ეტლებით (ამათში ერთი მეოთხედი შეიძლება 2 თვლიანი პატარა ეტლებიც იყოს), რომლებიც ქალაქის სამუშაოსათვისა და ქუჩების მოსარწყავად არიან საჭირონი; ვადა 31 დეკემბრამდე აქვთ. საჯარო ვაჭრობა ამისათვის დანიშნულია 22 ამა აპრილს, დღის 12 საათზედ. დანიშნულ დროსათვის მსურველთ 50 მან. გირაო უნდა წარმოადგინონ. დაწვრილებითი პირობები როგორც ქუჩების მოკირწყვლისა, ისე ცხენების და ეტლების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ნახონ ქალაქის გამგეობის ამშენებელ განყოფილების კანცელარიაში დილის 10 საათიდამ, ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა.

(3—6—2).



(50—505—1)

პროვანსული ზეთი

კელერისა,

ყველგან ცნობილი.

ჩიცცაში საგანგებოდ მომზადებული, ყველგან არის გასასყიდად გამოჩენილ ვაჭრებთან. ზეთი მხოლოდ მაისში იხდება, როდესაც სულ მთლად ქორფა და არჩეული ზეთის ხილი იკრიბება (3—15—1)

სამზღვარგარეთიდამ დბრუნებული

უმაწვილი კაცი

იღებს ფრანგულ და ლათინურ ენის გაკვეთილებს.

ადრესი: ქართველთა ამხანაგობის პავილიონში. 3—3

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Апрѣля 1896 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.